

თემა 2. ცხოველთა სამყარო

შესავალი

„ცხოველთა სამყარო“ წარმოადგენს საგანმანათლებლო რესურსების კრებულს - „შევიმეცნოთ სამყარო ქართულ ენაზე“, რომელიც განკუთვნილია დაწყებითი საფეხურის არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეთათვის. კრებული ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის ბუნებისმეტყველების I-IV კლასების სტანდარტის მოთხოვნებს და მიზნად ისახავს საგნისა და ენის ინტეგრირებულად სწავლა-სწავლებას ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

კრებული „შევიმეცნოთ სამყარო ქართულ ენაზე“ მოიცავს თემატურ კომპლექტებს. თითოეული კომპლექტი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- **დონების მიხედვით დაყოფილი წიგნები** - ესაა ერთსა და იმავე თემატიკაზე აგებული წიგნები, რომლებიც ერთმანეთისგან სირთულის დონით განსხვავდება. თითოეულ წიგნში საფეხურებრივად რთულდება საგნობრივი და ენობრივი შინაარსი. შესაბამისად, ცალკეული დონის წიგნში მოცემული ინფორმაციის შესწავლა მოსწავლეს მოამზადებს მომდევნო დონის ასათვისებლად.
- **პოსტერები** - საგანმანათლებლო ფუნქციის მქონე თვალსაჩინოებები, რომლებიც გამოიყენება აქტივობების დროს.
- **მასწავლებლის გზამკვლევი** - ეს რესურსი მასწავლებელს სთავაზობს მრავალფეროვან თანამიმდევრულ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოსწავლეებს დაეხმარება წიგნებში წარმოდგენილი ცნებების, საკითხების გააზრებულად და აქტიურად სწავლაში, სტანდარტით გათვალისწინებული უნარების დაუფლებაში. თითოეული თემის გზამკვლევი შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

გზამკვლევის პირველ ნაწილში მოცემულია სიტყვათა ბანკი, ანუ ძირითადი ლექსიკა, რომლის ათვისება-განმტკიცებამ ხელი უნდა შეუწყოს თემის შესწავლას.

გზამკვლევის მეორე ნაწილში ცხრილის სახითაა წარმოდგენილი თემის მთლიანი გეგმა. სასწავლო თემა იგეგმება შემდეგი კომპონენტების გამოყენებით:

თემა	
საკვანძო ცნებები	საკვანძო კითხვები
შეფასების ინდიკატორები	

- **ცნებები** - ცნებების სახითაა განსაზღვრული ის საგნობრივი ცოდნა, რომელსაც უნდა დაეუფლოს მოსწავლე თემის ფარგლებში.
- **საკვანძო შეკითხვები** - ისინი აღვიძებს მოსწავლის ცნობისმოყვარეობას და მის წინარე ცოდნას უკავშირებს თემის ფარგლებში დასამუშავებელ ცნებებს. საკვანძო კითხვები, როგორც ვექტორები, თემის სწავლა-სწავლების პროცესს შედეგებისკენ მიმართავს.
- **შეფასების ინდიკატორები** - ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ მოცემული თემის შესწავლისას. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით შეიძლება შემუშავდეს კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

გზამკვლევის მესამე ნაწილში წარმოდგენილია თემის მიმდინარე და შემაჯამებელი აქტივობები. აქტივობები დაჯგუფებულია ეტაპებად, რომლებიც გამოყოფილია საკვანძო კითხვების მეშვეობით. ამდენად, თითოეული ეტაპი ემსახურება 1-3 საკვანძო შეკითხვის დამუშავებას.

დანართი - გზამკვლევს ახლავს სამი დანართი.

- პირველ დანართში მოცემულია შესავსები ცხრილი. ცხრილის პირველ სვეტში წარმოდგენილია წინამდებარე გზამკვლევის აქტივობათა ნუმერაცია, მომდევნო სვეტი კი განკუთვნილია მასწავლებლის შენიშვნებისა თუ კომენტარებისათვის. კერძოდ, მასწავლებელს შეუძლია ჩაწეროს: რამდენად გამოადგა შესაბამისი ნუმერაციის აქტივობა, ხომ არ იყო ის მეტისმეტად რთული ან მარტივი, დასჭირდა თუ არა დამატებითი მასალის ან აქტივობის გამოყენება; ან საერთოდ, ხომ არ ჩაანაცვლა ეს აქტივობა სხვა აქტივობით, რომელიც უფრო ეფექტიანად ჩათვალა (და მოსწავლეთა მიერ წარმატებით შესრულდა).
- მეორე დანართში ამოსაჭრელი სურათები და სიტყვებია, რომლებიც მოსწავლეებს აქტივობების შესასრულებლად დასჭირდებათ.
- მესამე დანართში წარმოდგენილია მოსწავლეთათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები.

თემა 1. ცხოველები

პირველი ნაწილი

ძირითად სიტყვათა ბანკი	
ცხოველი	<p>ძუძუმწოვრები: კატა, ძაღლი, ცხენი, ღორი, თხა, ცხვარი, ძროხა, კამეჩი, დათვი, მგელი, ირემი, მელა, ლომი, ვეფხვი, ტურა, მაჩვი, ზღარბი, ჟირაფი, სპილო, ზებრა, თაგვი, ზაზუნა, ლეოპარდი, აქლემი, ღამურა, დელფინი, ვეშაპი;</p> <p>ფრინველები: ქათამი (დედალი), ქათამი (მამალი), ინდაური, იხვი, ბატი, ბუ, არწივი, ტოროლა, ქორი, ყვავი, პინგვინი;</p> <p>ქვეწარმავლები: კუ, გველი, ხვლიკი, ქამელეონი, ნიანგი;</p> <p>თევზები: კალმახი, ზვიგენი, ორაგული;</p> <p>სხვა სახეობები: ლოკოკინა, რვაფეხა, ბაყაყი.</p>
მოძრაობა	დარბის, დასრიალებს, დახოხავს, დაცოცავს, დაფრინავს, დადის, დაცურავს, დაბაჯბაჯებს, დახტის
ნაშიერი	ბელი, კნუტი, ხბო, გოჭი, ბარტყი, ლიფსიტა, ლეკვი
საკვები	მცენარე, ბალახი, ბოსტნეული: სტაფილო, კომბოსტო; ხილი: ვაშლი, მსხალი; ფოთოლი, მარცვლეული, კაკალი, თხილი, ხორცი, თევზი, თაფლი
სხეულის ნაწილები	ტანი, თავი, კიდურები; კუდი, ფრთა, ნისკარტი, რქა, ხორთუმი, ყური, კისერი; ეშვი, ფაფარი; საღეჭი კბილი, საჭრელი კბილი; ბრჭყალი, ფაფარი, ბაკანი, ნიჟარა
სხეულის ზომა	დიდი, პატარა, გრძელი, მოკლე, მაღალი, დაბალი
საფარველი	ბეწვი, ტყავი, კანი, ბუმბული, ქერცლი, რქოვანი საფარველი (ფარები)
შეფერილობა	თეთრი, შავი, ლურჯი, რუხი, ჭრელი, ზოლებიანი, ხალებიანი
საცხოვრისი	ბოსელი, თავლა, ფარები, საღორე, საქათმე, ხუხულა, ფულურო, სორო, ბუნაგი
საცხოვრებელი ადგილი	ხმელეთი, წყალი; მშრალი, ცივი, ცხელი, ნესტიანი ადგილი; უდაბნო, ყინულოვანი სანაპირო, მტკნარი წყალი, მარილიანი წყალი, ტბა, მდინარე, ტბორი, ზღვა, ოკეანე

მეორე ნაწილი - სასწავლო თემის გეგმა

თემა: ცხოველთა სამყარო	სასწავლო საათების საორიენტაციო რაოდენობა: 14 +/-4
საკვანძო ცნებები	საკვანძო შეკითხვები:
<p>კვლევა: დაკვირვება, შედარება, ამოცნობა, დახარისხება;</p> <p>ცოცხალი სხეული:</p> <ul style="list-style-type: none"> • ცხოველების აგებულება: სხეულის ნაწილები, ზომა, საფარველი, შეფერილობა • ცხოველების სასიცოცხლო ნიშნები: მოძრაობა, ზრდა, სუნთქვა, მოძრაობა, გამრავლება • ცხოველების სასიცოცხლო მოთხოვნილებები: საკვები, წყალი, ჰაერი, თავშესაფარი; • ცხოველთა ჯგუფები: • ბალახისმჭამელი, ხორცისმჭამელი, ნაირმჭამელი • ძუძუმწოვარი, ფრინველი, თევზი, ქვეწარმავალი <p>კითხვის სტრატეგია</p>	<ul style="list-style-type: none"> • რატომ გვიყვარს ცხოველები? • როგორ მოვემზადოთ ტექსტის გასაგებად? • რა საერთო და განმასხვავებელი გარეგნული ნიშნები აქვთ ცხოველებს? (სხეულის ნაწილები, ზომა) • რით ჰგვანან ცხოველები ერთმანეთს, რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან (მოძრაობის, საცხოვრისის, კვების მიხედვით)? • რა საერთო ნიშან-თვისებები აქვთ ერთი კლასის (ჯგუფის) ცხოველებს? (ძუძუმწოვრებს, ფრინველებს, ქვეწარმავლებს, თევზებს) • რატომ აქვთ ცხოველებს სხეულის განსხვავებული ნაწილები? • რით ჰგვანან ცოცხალი და არაცოცხალი სხეულები ერთმანეთს, რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან? • როგორ მოვიქცე, რომ გამიადვილდეს ტექსტის გაგება?

შეფასების ინდიკატორები:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- პრაქტიკულ აქტივობებში ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების (დაკვირვება, ამოცნობა, შედარება, დახარისხება) დემონსტრირება;
- ცხოველების აღწერა და დახასიათება ძირითადი ნიშან-თვისებების მიხედვით;
- ცხოველების დაჯგუფება, ჯგუფების (კლასების) დახასიათება და შედარება; მათი ტიპური წარმომადგენლების აგებულებისა და ცხოველქმედების თავისებურებათა გამოკვეთა;
- ცხოველთა არსებობისთვის აუცილებელი ფაქტორების დასახელება.
- ცხოველთა ნიშან-თვისებებზე საინფორმაციო შემეცნებითი ტექსტის გააზრება კითხვის სტრატეგიების გამოყენებით

მესამე ნაწილი

თემის დამუშავების ეტაპები

I ეტაპი

- რატომ გვიყვარს ცხოველები?
- როგორ მოვემზადოთ ტექსტის გასაგებად?

რესურსი: ოთხივე დონის წიგნის ილუსტრაციები; ქართული ენა, დონე 1, თემა 5 (მე მიყვარს ბუნება; დონე 2, თემა 6 (ცხოველების სამყაროში)¹

1. **ცხოველთან დაკავშირებული ამბის გახსენება** - მოსწავლე ჰყვება ცხოველთან დაკავშირებულ რაიმე ამბავს, რომელიც დაამახსოვრდა პირადი გამოცდილებიდან (გადმოცემის გაადვილების მიზნით მოსწავლემ შესაძლებელია ეს ამბავი დახატოს და ისე წარმოადგინოს) (მიზანი: ინტერესის პროვოცირება).
2. **ცხოველებზე ინტერაქცია** - წიგნების სურათებზე დაყრდნობით ინტერაქცია ცხოველებზე ნასწავლი ლექსიკის გამოყენებით (ნასწავლი ცხოველების სახელები, სხეულის ნაწილები, ზომა, შეფერილობა და სხვ.) (მიზანი: ინტერესის პროვოცირება, წინარე ცოდნის გააქტიურება).
3. **ჩემი საყვარელი ცხოველი** - ნახატზე ან სურათზე დაყრდნობით, მოსწავლეები აღწერენ და საუბრობენ საყვარელ ცხოველზე (მიზანი: ინტერესის პროვოცირება, წინარე ცოდნის გააქტიურება).
4. **გამოცანები ცხოველებზე** - ილუსტრაციაზე დაყრდნობით, ამბობთ გამოცანას, ანუ ასახელებთ გამოსაცნობი ცხოველის მახასიათებლებს (მაგ., ზომას,

¹ რესურსები: *ქართული ენა 1, თემა 5 (მე მიყვარს ბუნება)* - სახელმძღვანელო დაწყებითი საფეხურის არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის, (მაია მელიქიძე, ნ. გორდელაძე); თბილისი, 2011;

ქართული ენა 2, თემა 6 (ცხოველების სამყაროში) - სახელმძღვანელო დაწყებითი საფეხურის არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის, (მაია მელიქიძე, ნ. გორდელაძე); თბილისი, 2011;

ქართული ენა 3, თემა 3 (წყლის სამყაროში) - სახელმძღვანელო დაწყებითი საფეხურის არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის, (მაია მელიქიძე, ნ. გორდელაძე); თბილისი, 2011;

ქართული ენა 4, თემა 3. (მწერების სამყაროში) სახელმძღვანელო დაწყებითი საფეხურის არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის, (მაია მელიქიძე, ნ. გორდელაძე); თბილისი, 2011;

შეფერილობას, სხეულის ნაწილებს, ნაშიერის სახელს და სხვ.). მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ და დაასახელონ ცხოველი. (მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება).

5. **მართალია/მცდარია** - ილუსტრაციებზე დაყრდნობით, წარმოთქვამთ დებულებებს, რომლებიც შეესაბამება ან არ შეესაბამება სინამდვილეს (მაგ., ძაღლს აქვს რქები, დათვს აქვს კუდი, კუს აქვს ნისკარტი). მოსწავლეებმა უნდა თქვან, მართალია თუ მცდარია ეს დებულება (მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება).
6. **შინაური და გარეული ცხოველების დაჯგუფება** - ჯგუფებს ურიგებთ შინაური და გარეული ცხოველების (ძუძუმწოვრების, ფრინველების) აღმნიშვნელ სიტყვებს (იხ. დანართი 2). მოსწავლეებმა ისინი უნდა დააჯგუფონ ოთხად: გარეული ოთხფეხა (ძუძუმწოვრები) ცხოველები, შინაური ოთხფეხა (ძუძუმწოვრები) ცხოველები, გარეული ფრინველები, შინაური ცხოველები (მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება).

II ეტაპი

- რა საერთო და განმასხვავებელი გარეგნული ნიშნები აქვთ ცხოველებს? (ცნებები: სხეულის ნაწილები, ზომა, შეფერილობა, საფარველი)

რესურსი: ოთხივე დონის წიგნის ილუსტრაციები

7. **გავიხსენოთ სხეულის ნაწილები** - მოსწავლეებს რიგრიგობით აჩვენებთ სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ სიტყვებს (იხ. დანართი 2), ასახელებთ ერთად. მოსწავლეები წიგნების ილუსტრაციებზე აჩვენებენ სხეულის შესაბამის ნაწილს (მიზანი: სხეულის ნაწილის ამოცნობა, ლექსიკური ცოდნის განმტკიცება).
8. **შევქმნათ საინფორმაციო ფურცელი „ცხოველთა გარეგნული ნიშნები“** - მოსწავლეები შეარჩევენ სასურველი ცხოველის გასაფერადებელ სურათს (იხ. დანართი 1), გააფერადებენ მას. შემდეგ ამ სურათს აწებებენ უფრო დიდი ფორმატის ქაღალდზე, სურათის გარეთ ისრებით გამოიტანენ თითოეულ ნაწილს და მათ მიაწებებენ/მიაწერენ შესაბამის სიტყვებს. ყველა გამოაკრავს თავის ნამუშევარს და წარმოადგენს კლასის წინაშე („ეს არის ...“. „მას აქვს ...“) (მიზანი: ცხოველების აღწერა, ცნების - სხეულის ნაწილები - გააზრება,

ლექსიკური ცოდნის განმტკიცება).

შენიშვნა: მოსწავლეებს უნდა აუხსნათ ტერმინები: წინა კიდურები, უკანა კიდურები; ასევე დაეხმარათ იმის გაცნობიერებაში, რომ ფრინველის წინა კიდურები ფრთებია.

9. **სიტყვების კედელი** - გამოაკრავთ სიტყვებს: შეფერილობა, ზომა, საფარველი; რიგრიგობით აჩვენებთ და დაასახელებთ ამ კატეგორიათა შესაბამის სიტყვებს. მოსწავლეებმა უნდა თქვან, თუ რას აღნიშნავს კონკრეტული სიტყვა: **ზომას, შეფერილობას თუ საფარველს**. თითოეულ სიტყვას მიამაგრებთ სათანადო კატეგორიის ქვეშ. სიტყვათა დაჯგუფების შემდეგ მოსწავლეები დაასახელებენ შესაბამისი ნიშნების მქონე ცხოველებს ილუსტრაციებზე (მაგ., ცხოველები, რომლებსაც ბეწვი აქვთ; ცხოველები, რომლებსაც ზოლები აქვთ, ანუ ზოლებიანი ცხოველები) (მიზანი: ნიშან-თვისებების დახარისხება, ლექსიკური ცოდნის განმტკიცება).
10. **საინფორმაციო ფურცლის შევსება** - მოსწავლეები საინფორმაციო ფურცელს შეავსებენ ახალი მონაცემებით: აღნიშნავენ, როგორი საფარველი ან როგორი შეფერილობა აქვთ ცხოველებს (მიზანი: იგივე, რაც წინა აქტივობის შემთხვევაში).
11. **გამოცანების შედგენა** - დააჯგუფებთ მოსწავლეებს. თითოეულმა ჯგუფმა წერილობით უნდა შეადგინოს გამოცანა ცხოველზე (სხეულის რა ნაწილები აქვს, როგორი საფარველი და შეფერილობა აქვს, როგორი ზომისაა). ჯგუფები გაცვლიან გამოცანებს, ხმამაღლა წაიკითხავენ და გამოიცნობენ (მიზანი: ცხოველთა აღწერა გარეგნული ნიშნების მიხედვით, წერითი და ზეპირი სამეტყველო უნარების განვითარება).
შენიშვნა: პირველ გამოცანას შეადგენთ მოდელირებით, მთელი კლასის მონაწილეობით.
12. **ნიშან-თვისებათა კატეგორიზაცია** - მოსწავლეები გადაიწერენ ცხრილს და შეავსებენ მას შესაბამისი სიტყვებით. თითოეულ სვეტში უნდა ჩაიწეროს, სულ მცირე, 5 სიტყვა. შესაძლებელია ჯგუფებმა ამის მიხედვით გააკეთონ „სიტყვის კედელიც“ (სასურველია კორპის დაფებზე). დასასრულ, ერთმანეთს შეადარებთ და გააანალიზებთ პასუხებს, გაასწორებთ შეცდომებს (მიზანი: ნიშან-თვისებათა დახარისხება, ენობრივი ცოდნის განმტკიცება).

ზომა	შეფერილობა	სხეულის ნაწილები	საფარველი


13. ცხოველების აღწერა გრაფიკული სქემით - მოსწავლეების შეარჩევნებულ ორ ცხოველს და შეავსებენ ქვემოთ მოცემულ ცხრილს.


ნიშნები	ცხოველი 1	ცხოველი 2
სხეულის ნაწილები		
შეფერილობა		
საფარველი		
ზომა		

14. ცხოველების შედარება გრაფიკული მაორგანიზებლით „ვენის დიაგრამა“ - მოსწავლეები შეავსებენ ვენის დიაგრამას წინა დავალების მონაცემებზე დაყრდნობით (მიზანი: ცხოველების შედარება, საერთო და განმასხვავებელი გარეგნული ნიშნების გამოკვეთა).

15. წინა დავალების შედეგების ზეპირად წარდგენა საყრდენი წინადადების გამოყენებით - დაფაზე დაწერეთ საყრდენი წინადადება: /*დათვის/ და / ხარის/ საერთო ნიშანია ; მათი განმასხვავებელი ნიშანია. . .* შევსებული ვენის დიაგრამაზე დაყრდნობით, მოსწავლეები წარმოადგენენ შერჩეული ცხოველების საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს. პასუხების განხილვა-გასწორება ჩატარდება მოსწავლეთა თანამონაწილეობით (მიზანი: ცხოველების შედარება, მათი საერთო და განმასხვავებელი გარეგნული ნიშნების გამოკვეთა, ზეპირმეტყველების უნარების განვითარება).

16. საინფორმაციო ტექსტის შედგენა ვენის დიაგრამაზე დაყრდნობით - დაფაზე დაწერეთ ორ კონსტრუქციას:





ამ კონსტრუქციებზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა წერილობითი წინადადებების სახით უნდა გადმოსცენ ვენის დიაგრამის მონაცემები (მაგ., *დათვი ხარისგან განსხვავდება საფარველით, შეფერილობით და სხეულის ზოგიერთი ნაწილით: დათვს ბეწვი აქვს, ხარს აქვს ტყავი. დათვს აქვს ბრჭყალი, ხარს ბრჭყალი არ აქვს. ხარს რქები აქვს, დათვს რქები არ აქვს. დათვი ხარს ჰგავს ზომით. დათვი დიდია, ხარიც დიდია. დათვსაც და ხარსაც აქვთ ტანი, თავი, წინა და უკანა კიდურები*) (მიზანი: წერილი მეტყველების უნარების განვითარება).

III ეტაპი

- რით ჰგვანან ცხოველები ერთმანეთს, რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან (მოძრაობის, საცხოვრისის, კვების მიხედვით)?

17. **ცხოველის დაკავშირება მოძრაობის კონკრეტულ სახეობასთან** - დაფაზე გამოაკრავთ მოძრაობის აღმნიშვნელ სიტყვებს (იხ. დანართი 2.), კლასთან ერთად გაიხსენებთ მათ მნიშვნელობებს მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით. ამის შემდეგ, წიგნების ილუსტრაციებზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა კონკრეტული ცხოველები უნდა დაუკავშირონ კონკრეტულ მოძრაობას (გველი სრიალებს, ბაყაყი დახტის და მისთ.) (მიზანი: ცხოველის დამახასიათებელი ქცევის ამოცნობა, ლექსიკური მარაგის გამდიდრება-განმტკიცება).

შენიშვნა: ინტერაქცია წარმართეთ ისე, რომ მოძრაობის ყოველი კონკრეტული სახეობა მოსწავლეებმა დაუკავშირონ ცნებას „მოძრაობა“ (*მაგ., როგორ მოძრაობს არწივი? - დაფრინავს; როგორ მოძრაობს ბაყაყი? - დახტის*).

18. **გამოცანები მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით** - მოსწავლეები ბაძავენ ამა თუ იმ ცხოველის მოძრაობის მანერას. მოსწავლეები ამოიცნობენ, ასახელებენ ცხოველს და მოძრაობის სახეობას (კითხვა: *რა მოძრაობს ასე?*).

19. **რა/ვინ მოძრაობს, რა/ვინ არ მოძრაობს** - არეული თანამიმდევრობით ჩამოწერთ

ადამიანებს, ცხოველებს, მოძრავი და უძრავ საგნებს (მაგ., გოგონა, ბიჭი, ცხენი, კუ, გველი, თევზი, არწივი, მანქანა, კარადა, სახლი, წიგნი, სკოლა, სხვ.). დაფაზე დახაზავთ T - სქემას, ერთ მხარეს დააწერთ: „მოძრაობს“, მეორე მხარეს: „არ მოძრაობს“. მოსწავლეები გადაიტანენ სქემას რვეულში და შეავსებენ მას. ბოლოს ჩატარდება შედეგების განხილვა-გაანალიზება, შეცდომების გასწორება; გამოტანილი იქნება დასკვნა: ყველა ცხოველი მოძრაობს (მიზანი: ცხოველთა საერთო ნიშან-თვისებების გააზრება).

20. **რა/ვინ იზრდება, რა/ვინ არ იზრდება** - ჩაატარებთ წინა აქტივობის ანალოგიურ აქტივობას ცნებისათვის „ზრდა“: დაფაზე დახაზავთ T - სქემას, ერთ მხარეს დააწერთ: „იზრდება“, მეორე მხარეს: „არ იზრდება“ (მიზანი: ცხოველთა საერთო ნიშან-თვისებების გააზრება).
21. **ცოცხალი და არაცოცხალი სხეულების დაჯგუფება** - მოსწავლეებმა წინა ორი სქემის საფუძველზე უნდა შეავსონ შემდეგი ცხრილი:

მოძრაობს და იზრდება	მოძრაობს, არ იზრდება	არ იზრდება, არ მოძრაობს
ნებისმიერი ცხოველი	მანქანა, თვითმფრინავი	კარადა, სკამი, წიგნი

(მიზანი: ცხოველთა საერთო ნიშან-თვისებების გააზრება).

22. **ნაშიერების სახელების გახსენება** - წიგნების ილუსტრაციებს საფუძველზე მოსწავლეები გაიხსენებენ ნაშიერების სახელებს (მიზანი: ლექსიკური ცოდნის გამდიდრება-განმტკიცება).
23. **დაწყვილება** - ნაშიერების აღმნიშვნელი სიტყვის ბარათებს მოსწავლეები დააწყვილებენ შესაბამისი ცხოველების აღმნიშვნელი სიტყვის ბარათებთან (იხ. დანართი 2). (მიზანი: იგივე, რაც წინა აქტივობის შემთხვევაში).
24. **ცხოველთა ნაშიერების აღწერა** - მოსწავლეები აღწერენ ნაშიერებს და აღნიშნავენ, ჰგვანან თუ არა ისინი თავიანთ მშობლებს. (მიზანი: იგივე, რაც წინა აქტივობის შემთხვევაში).
25. **ფრინველთა საერთო გარეგნული ნიშნების ამოცნობა** - მოსწავლეები აკვირდებიან ფრინველების სურათებს და გამოკვეთენ მათ საერთო გარეგნულ ნიშნებს (ყველას აქვს ნისკარტი, ფრთები, ორი ფეხი) (მიზანი: იგივე, რაც წინა აქტივობის შემთხვევაში).

შენიშვნა: გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება იმაზე, რომ ფრინველების ფრთები არის წინა კიდურები, ფეხები - უკანა კიდურები.

26. **ფრინველთა არატიპური წარმომადგენლის ამოცნობა** - მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, ფრინველის სხეულის რომელი ნაწილი აქვს პინგვინს (ნისკარტი). განუმარტეთ მათ, რომ პინგვინი არ დაფრინავს, მაგრამ იგი ფრინველია, აქვს ნისკარტი; ჰკითხეთ, პინგვინის გარდა, კიდევ რომელი ფრინველი დაცურავს (იხვი, ბატი). (მიზანი: ფრინველების კატეგორიზაცია).
27. **ძუძუმწოვარი ცხოველების დასახელება** - მოსწავლეები აკვირდებიან პოსტერს „ცხოველები და მათი ნაშიერები“, ამოიცნობენ ძუძუმწოვარ ცხოველებს, ანუ ცხოველებს, როლებიც ნაშიერებს ძუძუს აწოვებენ. ამის შემდეგ დამატებით დაასახელებენ ძუძუმწოვარ ცხოველებს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით.
28. **ძუძუმწოვართა არატიპური წარმომადგენლის ამოცნობა** - გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება ღამურაზე (იხ. პოსტერი). მოსწავლეებმა უნდა აღმოაჩინონ, რომ ღამურას ნისკარტი არ აქვს და ძუძუს აწოვებს ნაშიერს, ანუ ის ძუძუმწოვარი ცხოველია. მათ ასევე უნდა აღმოაჩინონ, რომ ვეშაპი და დელფინიც ძუძუმწოვარი ცხოველები არიან, სხვა თევზებისგან განსხვავებით (მიზანი: ძუძუმწოვრების კატეგორიზაცია).
29. **ძუძუმწოვარი ცხოველების დაჯგუფება** - ოთხივე დონის წიგნების ილუსტრაციებზე დაყრდნობით და T- სქემის გამოყენებით, მოსწავლეები დააჯგუფებენ ძუძუმწოვარ ცხოველებს და არაძუძუმწოვარ ცხოველებს. შედეგებს ერთობლივად განიხილავთ, გაამახვილებთ მოსწავლეების ყურადღებას იმაზე, რომ ფრინველები და თევზები არ არიან ძუძუმწოვარი ცხოველები (მიზანი: ძუძუმწოვრების არსებითი ნიშან-თვისების ამოცნობა - მათი ნაშიერები ძუძუს წოვენ).
30. **სიტყვების კედელი** - ცალკეული ჯგუფისთვის გამოაკრავთ სიტყვების ბარათებს: „ძუძუმწოვარი“ და „ფრინველი“; მოსწავლეებს დააჯგუფებთ, თითოეულ ჯგუფს არეულად დაურიგებთ ძუძუმწოვრებისა და ფრინველების, ასევე მათი ნაშიერების სახელთა აღმნიშვნელი სიტყვების ბარათებს. მოსწავლეებმა უნდა დაახარისხონ ძუძუმწოვრებისა და ფრინველების აღმნიშვნელი სიტყვები და გამოაკრან შესაბამისი კატეგორიის ქვემოთ. შედეგები ერთობლივად შემოწმდება (მიზანი - ფრინველებისა და ძუძუმწოვრების დაჯგუფება, ლექსიკური ცოდნის განმტკიცება).
31. **გამოცანები ცხოველთა კვებაზე** - მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით დაასახელეთ ამა თუ იმ ცხოველის საყვარელი საკვები. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ შესაბამისი ცხოველი (მაგ., „*უყვარს სტაფილო*

და კომბოსტო“ (კურდღელი); „უყვარს თაფლი და თევზი“ (დათვი); „იტაცებს და ჭამს ცხვრებს“ (მგელი); „უყვარს კაკალი და თხილი“ (თაგვი, ციყვი); „ძოვს ბალახს“ (ცხვარი, ძროხა) (მიზანი: გაცნობიერება იმისა, რომ ცხოველები სხვადასხვაგვარად იკვებებიან).

32. გონებრივი იერიში „რით იკვებებიან ცხოველები?“ - დაფაზე ჩამოწერთ მოსწავლეებისთვის ნაცნობ ცხოველებს (მაგ., ძაღლი, კატა, კუ, ცხენი, ქათამი). მოსწავლეები ასახელებენ, რომელი ცხოველი რით იკვებება, თქვენ დაფაზე, სათანადო ადგილზე, წერთ საკვების აღმნიშვნელ სიტყვებს. (მიზანი - იგივე, რაც წინა აქტივობის შემთხვევაში);

33. ინფორმაციის დაჯგუფება - მოსწავლეებს მისცემთ წასაკითხად შემდეგ წინადადებებს (იხ. დანართი 3):

ზღარბი ჭამს ხოჭოს, პეპელას, ბუზს, ჭიას, პატარა ხვლიკს, გველს, თხილს, ვაშლს, მსხალს.

დათვი ჭამს ჭიანჭველას, ცხვარს, თევზს, მაყვალს, ვაშლს, თხილს, რკოს, თაგვს.

მგელი ჭამს ირემს, ცხვარს, ბაყაყს, ჩიტს, თაგვს.

ცხვარი ჭამს ბალახს.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა უნდა მონიშნონ შესაბამისი უჯრა (სასურველია, აქტივობის შესრულებამდე მოსწავლეებს დაახარისხებინოთ საკვები შემდეგ ჯგუფებად: „პატარა ცხოველი“, „დიდი ცხოველები“, „მცენარეები“.

	დიდ ცხოველებს	პატარა ცხოველებს	მცენარეებს
ზღარბი			
დათვი			
მგელი			
ცხვარი			

34. რა რისი საცხოვრისია? - დაურიგეთ მოსწავლეთა ჯგუფებს საცხოვრისების აღმნიშვნელი სიტყვების ბარათები. ნულოვანი და დაბალი დონის წიგნთა ილუსტრაციების გამოყენებით, მოსწავლეთა ჯგუფები დააჯგუფებენ ცხოველებს საცხოვრისების მიხედვით. მუშაობის დასრულებისას დაფაზე შეაჯერეთ შედეგები. დახაზეთ თვალსაჩინო სქემა და შეავსეთ მოსწავლეების მონაწილეობით; გაასწორეთ შეცდომები. ბოლოს სთხოვეთ მოსწავლეებს, წარმოთქვან სქემაზე ასახულ ინფორმაცია დასრულებული წინადადებების სახით.

ბოსელი	თავლა	ფარეხი	საღორე	საქათმე	ხუხულა	ფუღურო	სორო	ბუნაგი	ბუდე
ძროხა კამეჩი ხარი	ცხენი	ცხვარი თხა	ღორი	ქათამი ინდაუ- რი ბატი იხვი	ძაღლი	ბუ ციყვი	მელა თაგვი გველი კურდ- ღელი	დათვი	არწივი მერც- ხალი

IV ეტაპი - როგორ მოვიქცე, რომ გამიადვილდეს ტექსტის გაგება? (დაბალი დონე 1, ცხოველთა სამყარო) (ცნება: კითხვის სტრატეგიები)

წაკითხვამდე

35. **ვარაუდების გამოთქმა** - მოსწავლეები თითოეულ გვერდზე აკვირდებიან ილუსტრაციებს და მუქად დაწერილ საკვანძო სიტყვებს; მათზე დაყრდნობით გამოთქვამენ ვარაუდს, თუ რაზეა საუბარი წიგნის თითოეულ გვერდზე (მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება, მზაობის შექმნა ტექსტის შინაარსის გასაგებად).

კითხვის დროს

36. **ილუსტრაციების დაკავშირება ტექსტთან** - ტექსტის მე-3 - მე-7 გვერდებზე გამოთქმული დებულება მოსწავლეებმა უნდა დაასაბუთონ სურათებზე გამოხატული მაგალითების მოხმობით (მაგ., ცხოველები სხვადასხვა საკვებს ჭამენ. ვეფხვი და ლომი ჭამენ დიდ ცხოველს - ზებრას, ცხვარი ჭამს ბალახს და მისთ.) (მიზანი - ტექსტის გააზრება).

კითხვის შემდეგ

37. **სქემაში ინფორმაციის დაჯგუფება** - მოსწავლეები ავსებენ შემდეგ ცხრილს:

ნიშან-თვისება	ჟირაფი	გველი	ცხენი	კუ (ხმელეთის)
რით იკვებება?	მცენარეებით	პატარა ცხოველებით	ბალახით	მცენარეებით
როგორ მოძრაობს?	დადის ფეხებით	დასრიალებს	დადის	დადის
როგორი ზომისაა?	დიდი და მაღალი	ზოგი დიდია, ზოგი - პატარა	დიდი	ზოგი დიდია, ზოგი - პატარა

სხელის რომელი ნაწილები აქვს?	ტანი, თავი კიდურები, გრძელი კისერი, რქები	თავი, ტანი და კუდი	თავი, ტანი, კიდურები, ფაფარი, ჩლიქები	თავი, ტანი, კიდურები, ზაკანი
------------------------------------	---	-----------------------	---	---------------------------------

38. **გამოცანების შედგენა** - მეწყვილეები ირჩევენ ორ ცხოველს (მაგ., ჟირაფი და ცხენი; ლოკოკინა და გველი; კუ და ჟირაფი); ჩამოწერენ მათ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს ვენის დიაგრამის გამოყენებით. ბოლოს, ვენის დიაგრამაზე დაყრდნობით, წერილობით შეადგენენ გამოცანას და წარმოადგენენ კლასის წინაშე (მიზანი: შეძენილ საგნობრივ და ენობრივ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენება).

შენიშვნა: მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეებს შეადგენინეთ ერთი ამგვარი გამოცანა მოდელირების სტრატეგიის გამოყენებით. საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მეწყვილეებს დამოუკიდებლად მუშაობის პროცესშიც.

V ეტაპი - როგორ მოვიქცე, რომ გამიადვილდეს ტექსტის გაგება? (პირველი დონე 2, ფერმა) (ცნება: კითხვის სტრატეგიები)

წაკითხვამდე

39. **ვარაუდების გამოთქმა** - წიგნის სათაურზე, ილუსტრაციებსა და მუქად დაწერილ საკვანძო სიტყვაზე დაყრდნობით, მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს, თუ რაზეა საუბარი წიგნის თითოეულ გვერდზე (მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება, მზაობის შექმნა ტექსტის შინაარსის გასაგებად).

კითხვის დროს

40. **ტექსტის დაკავშირება ილუსტრაციებთან** - მოსწავლე წაკითხულ ინფორმაციას უკავშირებს შესაბამის ილუსტრაციას (მიზანი: კითხვის სტრატეგიის გამოყენება გაგების გასაადვილებლად).

41. **უცნობ სიტყვათა მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით** - მოსწავლე ბოლო გვერდის წაკითხვისას აკვირდება სურათს. ილუსტრაციებსა და საკუთარ ცოდნა-გამოცდილებაზე დაყრდნობით, მან უნდა ამოიცნოს, რას ნიშნავს სიტყვა „იცავს“. საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ შეკითხვებით: *რა უნდათ მელასა და მგელს ფერმაში? რას აკეთებს ძაღლი?* (მიზანი: კითხვის სტრატეგიის გამოყენება გაგების პროცესების ხელშესაწყობად).

კითხვის შემდეგ

42. **„ჩემი ფერმა“** - მოსწავლეებმა უნდა წარმოიდგინონ, რომ ფერმერები არიან. მათ აქვთ მიწის ნაკვეთი, რომელზედაც უნდა მოაწყონ თავიანთი ფერმა. ამისათვის

მათ უნდა მოიფიქრონ:

- რომელი ცხოველები ეყოლებათ საკუთარ ფერმაში,
- რა რაოდენობის ცხოველები ეყოლებათ,
- როგორ გაანაწილებენ ცხოველებს საცხოვრისებში.

მოსწავლეებმა სახატავ რვეულებში უნდა დახატონ ფერმა - ცხოველების საცხოვრისები. თითოეულ ნაგებობას უნდა დააწერონ სახელი და შესაბამისი ცხოველების რაოდენობა. შეუძლია თ მიახატონ ცხოველები, გააფორმონ ფერმა და წარმოადგინონ კლასის წინაშე. წარდგენისას მოსწავლემ უნდა გამოიყენოს ცხოველებისა და საცხოვრისების სახელები. მაგალითად: *მე მყავს 3 ცხენი. მათთვის ავაშენე თავლა. თავლის გვერდით არის ფარები. ფარებში 10 ცხვარი მყავს და მისთ.* შესაძლებელია ასევე ინტერდისციპლინური პატარა პროექტის - „ჩემი ფერმა“ - განხორციელება ხატვის, ქართული ენისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელთა თანამშრომლობით (მიზანი: შეძენილ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენება).

VI ეტაპი

- როგორ მოვიქცე, რომ გამიადვილდეს ტექსტის გაგება? (საშუალო დონე)
- რა საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები აქვთ ცხოველებს? (ცნებები: სუნთქვა, საცხოვრებელი ადგილი)

წაკითხვამდე

43. რა სუნთქავს, რა არ სუნთქავს? - ღრმა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის დემონსტრირებით აუხსენით ბავშვებს, რას ნიშნავს სუნთქვა და რას შევისუნთქავთ (ჰაერს).
44. დაკვირვება მძინარე ცხოველებზე - ჰკითხეთ მოსწავლეებს: *დაკვირვებისარ მძინარე ძაღლს? ის გაუნძრევლად წევს, თვალები დახუჭული აქვს. როგორ ხვდები, რომ ძაღლი სუნთქავს?*
45. საერთო ნიშან-თვისებათა ამოცნობა - არეული თანამიმდევრობით ჩამოწერეთ შემდეგი სიტყვები: ქვა, მაგიდა, ძაღლი, კატა გოგო, ბიჭი, წიგნი, კარადა, სკამი. დაფაზე დახაზეთ T - სქემა, ერთ მხარეს დააწერეთ: „სუნთქავს“, მეორე მხარეს: „არ სუნთქავს“. მოსწავლეები გადაიტანენ სქემას რვეულში და შეავსებენ მას. ბოლოს მოეწყობა შედეგების განხილვა, გასწორდება შეცდომები (მიზანი: ცხოველთა საერთო ნიშან-თვისებების გააზრება).
46. სიტყვების დაწყვილება - დაფაზე, ერთ სვეტში, ჩამოწერეთ: ვსუნთქავთ, ვჭამთ, ვსვამთ; მეორე სვეტში - საკვებს, ჰაერს, წყალს; მოსწავლეებმა სიტყვები ერთმანეთს უნდა დაუკავშირონ.

47. სიტყვა „გამრავლების“ ახსნა მაგალითებზე დაყრდნობით - კონკრეტულ მაგალითებით აუხსენით მოსწავლეებს, რას ნიშნავს „გამრავლება“ (მაგ. დედა დათვმა გააჩინა ორი ბელი. იყო ერთი დათვი, გახდა სამი დათვი - დათვი გამრავლდა; ქათამმა გამოჩეკა 10 წიწილა. იყო ერთი ქათამი, გახდა 11 ქათამი - ქათამები გამრავლდნენ, მისთ.).

პირველი აბზაცის წაკითხვის დროს

48. კონკრეტული მაგალითების მოყვანა - მოსწავლეები წიგნში მოყვანილ ინფორმაციას შეუსაბამებენ კონკრეტულ მაგალითებს (მაგ. გველი მოძრაობს - ის იკლაკნება; ჩიტები მოძრაობენ - ისინი დაფრინავენ) (მიზანი: ტექსტის გააზრება).

49. კროსვორდის შევსება - დაურიგეთ მოსწავლეებს სამუშაო ფურცლები და სთხოვეთ შეავსონ მოცემული სქემა (იხ. დანართი 3).

ნიმუში მასწავლებლისთვის

							6							
							ხ							
					1.	მ	ო	მ	რ	ა	ო	ბ	ს	
2.	ს	უ	ნ	თ	ქ	ა	ვ	ს						
			3.	ი	კ	ვ	ე	ბ	ე	ბ	ა			
			4.	მ	რ	ა	ვ	ლ	დ	ე	ბ	ა		
							5.	ი	ზ	რ	დ	ე	ბ	ა

მეორე აბზაცის წაკითხვის დროს

50. ილუსტრაციებისა და ტექსტში მოცემული ინფორმაციის ურთიერთდაკავშირება - ილუსტრაციებზე დაყრდნობით მოსწავლეები ცდილობენ ტექსტში მოცემული ინფორმაციის გაგებას, უცნობი სიტყვების ამოცნობას.

51. კითხვებზე პასუხი - გადახედე წაკითხული წიგნების ილუსტრაციებს და დაასახელე ცხოველები, რომლებიც ცხოვრობენ:

ა) წყალში, ხმელეთზე;

ბ) ცივ ადგილებში, ცხელ ადგილებში.

მესამე აბზაცის წაკითხვის დროს

52. ვარაუდების გამოთქმა შემდეგ საკითხებზე: რამდენი ხანი შეიძლება გაძლოს ცხოველმა ჰაერის გარეშე? რამდენი ხანი შეიძლება გაძლოს წყლის გარეშე?

რამდენი ხანი შეიძლება გაძლოს საკვების გარეშე?

შენიშვნა: მოსწავლეები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ განსხვავება მხოლოდ დროშია და სამივე ფაქტორი სასიცოცხლოდ აუცილებელია.

53. **დაჯგუფება** - მოსწავლემ უნდა დაასახელოს სამი ბალახიმსჭამელი ცხოველი, სამი ხორცისმჭამელი ცხოველი და სამი ნაირმჭამელი ცხოველი (მიზანი: ცხოველთა კვების თავისებურების ამოცნობა).

მეოთხე და მეხუთე აბზაცის წაკითხვის დროს

54. **აბზაცებში მოცემული ინფორმაციის ილუსტრირება კონკრეტული მაგალითებით** - მოსწავლეები რვეულში ჩამოწერენ წიგნში დასახელებულ კონკრეტულ ნიშან-თვისებებს, რომლებიც დაკავშირებულია ზომასთან, შეფერილობასა და საფარველთან; შემდეგ მიუწერენ შესაბამისი ნიშან-თვისებების მქონე ცხოველების სახელებს. ბოლოს მოეწყობა შედეგების განხილვა, გასწორდება შეცდომები.

VI ეტაპი

როგორ დავაჯგუფო ცხოველები? (ცნებები: ძუძუმწოვრები, ფრინველები, თევზები, ქვეწარმავლები)

55. **რომელ ცხოველებს აქვთ ქერცილი ან რქოვანი საფარველი?** სხვადასხვა დონის წიგნის ილუსტრაციებზე დაყრდნობით, მოსწავლეები ამოიცნობენ ცხოველებს, რომელთა სხეულები ქერცილით ან რქოვანი ფარებით არის დაფარული. ისინი დააჯგუფებენ ამ ცხოველებს სიტყვების ბარათების გამოყენებით (მიზანი: თევზებისა და ქვეწარმავლების ამოცნობა).

შენიშვნა: ნასწავლი ცხოველებიდან ესენია ქვეწარმავლები და თევზები: კუ, გველი, ხვლიკი, ქამელეონი, ნიანგი; კალმახი, ზვიგენი, ორაგული).

რომელი ცხოველებს ხმელეთზე, რომელი - წყალში? - წინა აქტივობაში შერჩეულ ცხოველებს მოსწავლეები დააჯგუფებენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შედეგებს წარადგინენ კლასის წინაშე.

56. **ქვეწარმავლებისა და თევზების საერთო გარეგნული ნიშნების ამოცნობა** - მოსწავლეები დაკვირვების შედეგად ცდილობენ, ამოიცნონ საერთო ნიშნები (ქვეწარმავლები -, ტანი დაფარული აქვთ ქერცილით ან რქოვანი გარსით; თევზები - ტანი დაფარული აქვთ ქერცილით).

(მიზანი: თევზებისა და ქვეწარმავლების ამოცნობა).

57. **ქვეწარმავლებისა და თევზების განსხვავებული გარეგნული ნიშნების ამოცნობა** - მოსწავლეები დაკვირვების შედეგად ცდილობენ, ამოიცნონ განსხვავებული

ნიშნები (ქვეწარმავლები მიწაზე დადიან; თევზები წყალში ცხოვრობენ, მათ აქვთ ფარფლები).

განხილვის შემდეგ განუმარტეთ მოსწავლეებს სიტყვა „ქვეწარმავალი“ - ესაა ცხოველი, რომელიც ქვემოთ, მიწასთან ახლოს მოძრაობს (მიზანი: თევზებისა და ქვეწარმავლების ამოცნობა)

58. **სიტყვის კედელი** - მოსწავლეები სიტყვის ბარათებით გამოყოფენ ცხოველთა ოთხ კატეგორიას: ძუძუმწოვრები, ფრინველები, თევზები, ქვეწარმავლები (მიზანი: ცხოველების კატეგორიზაცია ნიშან--თვისებების მიხედვით).

59. **რა ვიცით თევზების შესახებ?** - გამოავლინეთ მოსწავლეების პირადი გამოცდილება, რომელიც დაკავშირებულია თევზებთან. დაუსვით მათ კითხვები: გაქვთ /გინახავთ აკვარიუმი? ყოფილხართ თუ არა სათევზაოდ? ვის უბანავია ზღვაზე, მდინარეში, ტბაში? როგორია წყალი - მტკნარი (უმარილო) თუ მარილიანი? დაგინახავთ თუ არა თევზი ტბაში, მდინარეში? როგორი იყო? და მისთ. (მიზანი - ლექსიკური მარაგის გამდიდრება).

60. **რა ვიცით სასმელ წყალზე?** - მოსწავლეებმა უნდა აღნიშნონ, რომელი წყალი გამოიყენება სასმელად - მარილიანი (მლაშე) თუ მტკნარი.

61. **პოსტერზე წარწერების დაწებება** - მოსწავლეები ამზადებენ წარწერებს ქართულ და მშობლიურ ენებზე პოსტერისთვის „ცხოველთა სამყარო“. მათ წარწერებით უნდა აღნიშნონ ცხოველთა ნასწავლი კლასები (ძუძუმწოვარი, ფრინველი, ქვეწარმავალი, თევზი), ასევე ცალკეული ცხოველის სახელები.

VI ეტაპი - როგორ მოვიქცე, რომ გავიგო ტექსტი ? (მაღალი დონის წიგნი)

გაცნობითი კითხვა

62. **სარჩევის წაკითხვა და დაკავშირება წიგნის შინაარსთან** - მოსწავლეები ეცნობიან სარჩევს და წიგნში ეძებენ შესაბამის თავებს; არკვევენ, სად იწყება და სად მთავრდება თითოეული მათგანი (მიზანი: წიგნში ორიენტირება, სტრუქტურის ამოცნობა).

63. **ვარაუდების გამოთქმა** - თავებზე, სათაურებსა და საკვანძო სიტყვებზე დაყრდნობით მოსწავლეები ამოიცნობენ ტექსტის ზოგად შინაარსს (მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება, მზაობის შექმნა წიგნის შინაარსის გასააზრებლად).

შესწავლითი კითხვა

მეთოდოლოგიური შენიშვნა: მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად, შეგიძლიათ ყველა ერთად ამუშაოთ დამოუკიდებლად (ინდივიდუალურად ან წყვილებში), **ან:**

დაურიგოთ ჯგუფებს დიფერენცირებული საკითხავი ამოცანები, **ან:** დაამუშაოთ ტექსტი მართული პრაქტიკის გამოყენებით. ამას გარდა, შესაძლებელია გამოიყენოთ „ჯიგსოუს“ სტრატეგიაც.

64. კითხვის სესია: ტექსტის მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე მოსწავლე ეტაპობრივად ასრულებს შემდეგ აქტივობებს:

(შესავალი)

64.1. დაასაბუთე, რომ: 1) ძალი ცოცხალი სხეულია; 2) კარადა არაცოცხალი სხეულია;

64.2. T სქემა - ცოცხალი და არაცოცხალი სხეულები.

(ცხოველთა სხეულის ნაწილები)

64.3. მოცემული ინფორმაციის ილუსტრაციებთან დაკავშირება;

64.4. ტექსტში მოცემული ფაქტის შესაბამისი კონკრეტული მაგალითების მოყვანა (მაგ., რომელ ცხოველს აქვს გრძელი/მოკლე რქები; რომელს არ აქვს კიდურები და მისთ.).

(ცხოველების საცხოვრებელი ადგილები)

64.5. მოცემული ინფორმაციის ილუსტრაციებთან დაკავშირება;

64.6. დასახელება ცხოველებისა, რომლებიც ცხოვრობენ ცხელ ადგილებში, ცივ ადგილებში (თითო-თითო ცხოველი);

64.7. მტკნარი და მარილიანი წყლების თევზების ამოცნობა - მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, თუ რომელ წყლებში ცხოვრობენ ნულოვანი დონის ილუსტრაციებზე გამოსახული თევზები. ვარაუდები შეამოწმეთ საერთო ძალებით.

(როგორ მოძრაობენ და იკვებებიან ცხოველები?)

64.8. ტექსტში მოცემული ფაქტის შესაბამისი კონკრეტული მაგალითების მოყვანა;

64.9. მოცემული ინფორმაციის დაკავშირება ილუსტრაციებთან.

კითხვის შემდეგ

65. სადისკუსიო საკითხები:

ა) რატომ იცვლის ფერს ქამელეონი?

ბ) რატომ აქვთ ბალახისმჭამელ ცხოველებს ბრტყელი სადეჭი კბილები?

გ) რატომ აქვთ ხორცისმჭამელ ცხოველებს ბრჭყალები და ბასრი საჭრელი კბილები?

დ) რატომ აქვთ ნაირმჭამელ ცხოველებს ბრტყელი კბილებიც და ბასრი კბილებიც?

ე) როგორ კბილები აქვთ ადამიანებს? რატომ?

ვ) რომელია შენი საყვარელი ცხოველი და რატომ? (შეფასება)

ზ) რომელი სხეულის ნაწილები ეხმარებათ მოძრაობაში შემდეგ ცხოველებს: ზვიგენს, კალმახს, მგელს, კატას, კუს, არწივს, ქათამს?

66. ამოცანა: ჩვენი ცოდნით დავებმართო პატარა მეთევზეს - მოუყევით მოსწავლეებს შემდეგი ამბავი:

ერთი ბიჭი გამოცდილი მეთევზე იყო. ის ოცნებობდა, დაეჭირა რვაფეხა და დელფინი - უნდოდა, კარგად დაეთვალიერებინა ეს ცხოველები. ბიჭის სახლთან დიდი ტბა იყო. ის ყოველ დილას და საღამოს თევზაობდა იმ იმედით, რომ ერთ დღეს ბადეს რვაფეხა ან დელფინი ამოყვებოდა. დღეები უშედეგოდ გადიოდა, ბიჭი კი თავისას არ იშლიდა.

სთხოვეთ მოსწავლეებს, ურჩიონ ბიჭს, თუ როგორ უნდა მოიქცეს რვაფეხისა და დელფინის დასაჭერად.

(მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომ ეს ცხოველები მტკნარ წყალში არ ბინადრობენ. მათ ბიჭს ზღვაზე წასვლა უნდა ურჩიონ რვაფეხასა და დელფინის დასაჭერად).

შენიშვნა: თუ მოსწავლეებს პასუხის გაცემა გაუჭირდებათ, დამხმარე კითხვების დასმით აპოვინეთ სწორი პასუხი.

დამხმარე კითხვები:

- როგორი წყალია ტბებსა და მდინარეებში?
- როგორი წყალია ზღვებსა და ოკეანეებში?
- შეიძლება თუ არა, გავუმზათ ზღვისა და ოკეანის ბინადრები ტბებსა და მდინარეებში, ან პირიქით?
- ბინადრობენ თუ არა ერთი და იგივე ცხოველები ტბებსა და მდინარეებში, ზღვებსა და ოკეანეებში?

68. ინფორმაციის დაჯგუფება - მოსწავლეებმა უნდა ამოიციონ სიტყვები, რომლებიც შეესაბამება თითოეულ ცხოველს და ჩაწერონ ცხოველის გამოსახულების გვერდით მოცემულ გრაფაში.

ლომი, ჟირაფი, კუ, თევზი, მამალი, ძუძუმწოვარა, მტაცებელი; იკვებება მცენარეებით, იკვებება მცენარეებით ან ცხოველებით; ყავისფერი, გრძელი კისერი, ეშვები, ფაფარი, შავი ლაქები, ქერცლი, ნისკარტი, ფარფლი, ბუმბული, ბეწვი, ბაკანი, თევზი, თავი, ტანი, კიდურები, ხმელეთი, წყალი, ფრთა (იხ. დანართი 3. სამუშაო ფურცელი).

იდეები შემაჯამებელი დავალებებისთვის:

ალტერნატივა 1. მოსწავლეებმა ქმნიან ილუსტრირებულ „წიგნს“: „ჩემი საყვარელი ცხოველი/ცხოველები“. წიგნს უნდა ჰქონდეს სარჩევი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება შემდეგი პუნქტები:

- გარეგნობა (სხეულის ნაწილები, შეფერილობა, საფარველი)
- საცხოვრებელი ადგილი, საცხოვრისი
- როგორ მოძრაობს?
- რით იკვება?
- რატომ მიყვარს?

ალტერნატივა 2. ორენოვანი საგანმანათლებლო პოსტერის შექმნა ერთ-ერთ ცხოველზე ან ცხოველთა კონკრეტულ სახეობაზე.

ალტერნატივა 3. ექსკურსია ზოოპარკში - მოსწავლეები შეარჩევენ ზოოპარკში მობინადრე ერთ-ერთ ცხოველს, აკვირდებიან მის საარსებო პირობებს ზოოპარკში, წერენ ტექსტს: *როგორ გავაუმჯობესებდი ცხოველის საარსებო პირობებს?*

ალტერნატივა 4. ცხოველი შინ - მოსწავლე შეარჩევს ცხოველს საჩუქრად მეგობრისთვის და წერს, თუ როგორ უნდა მოუაროს მან ნაჩუქარ ცხოველს. დასასრულ, აფორმებს თავის რჩევებს ნახატებითა და ფოტოებით.